დამტკიცებულია კანცლერის 2021 წლის
22 მარტის #01-35 ბრძანებით

სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აფილირებული აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესსა და პირობებს. **(01-47, 08.04.2025)**
2. დაფინანსების მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას, გამორჩეული სამეცნიერო ნაშრომების პოპულარიზაციას და მათი სამეცნიერო პოტენციალის გაუმჯობესებას.

მუხლი 2. სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების პირობები და პროცედურები

1. სამეცნიერო აქტივობების ფარგლებში დაფინანსდება: სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების, სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის, სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების, მონოგრაფიის გამოქვეყნების და სხვა სამეცნიერო აქტივობების ხარჯები;
2. სამეცნიერო აქტივობების დასაფინანსებლად განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა ხდება ფაკულტეტის გრანტების განმკარგავ კომისიასთან (შემდგომში - კომისია). კომისია განიხილავს დოკუმენტაციას და წერს დასკვნას, სადაც აღნიშნულია სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების რეკომენდაცია ან დაფინანსებაზე უარის შესახებ არგუმენტაცია. დადებითი დასკვნა იგზავნება სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში (შემდგომში დეპარტამენტი). იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტი დაადასტურებს აქტივობის სამეცნიერო მიზნობრიობას და დებულებით გათვალისწინებული ვადების დაცვას, დადებითი დასკვნა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვიზირებით იგზავნება კანცელარიაში კანცლერის ვიზირებისა და დაფინანსებისთვის.
3. უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისა და დაფინანსების შუამდგომლობისთვის, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი უფლებამოსილია შექმნას თემატური კომისია, რომელიც აფასებს აქტივობის მიზნობრიობის და მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობას და მნიშვნელობას უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებაში. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან და წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი. კომისიას თავმჯდომარეობს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, ხოლო წევრებად აირჩევიან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები, მოადგილეები ან/და აფილირებული აკადემიური პერსონალი. **(01-47, 08.04.2025)**

მუხლი 3. სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების დაფინანსება

3.1. სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების დაფინანსების პირობები:

3.1.1. სამეცნიერო ღონისძიებაში ითვლება საქართველოს ან უცხოეთის ტერიტორიაზე უნივერსიტეტის სახელით ან თანაორგანიზატორობით ჩატარებული კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი, სამუშაო შეხვედრა, კონგრესი.

3.1.2. სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:

- ფართის მოწყობის/ფართის დაქირავების ხარჯი;

- მოწვეული სტუმრების განთავსებისა და მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ ეკონომკლასის ავიაბილეთის, სახმელეთო ან/და სხვა სატრანსპორტო ხარჯები (არა შიდასაქალაქო გადაადგილება)).
- კვების ხარჯი;
- ღონისძიებისთვის საჭირო მასალების რედაქტირებისა და ბეჭდვის ხარჯი;
- სხვა ხარჯი, რომელიც აუცილებელია სამეცნიერო ღონისძიებების ფორმატიდან გამომდინარე.

3.1.3. წარმოსადგენი დოკუმენტები:

- ღონისძიების პროექტი (ფორმა #1);
- კონფერენციის ბიუჯეტი (ფორმა #2);
- თანადაფინანსების წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსების პირობები:

3.2.1. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისას დაფინანსდება მოკლევადიანი მივლინება (არაუმეტეს 7 ღამე) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მეცნიერმა უნდა გააკეთოს პლენარული მოხსენება, სექციის მოხსენება ან პოსტერით პრეზენტაცია. ასევე აუცილებელი პირობაა, რომ მოხსენების თემა სტატიის სახით დაიბეჭდოს სრულად კონფერენციის დასრულებიდან 18 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს ჩარიცხული თანხა შესაძლებელია ასევე გაკეთდეს ისეთი ნაშრომის პრეზენტაცია, რომელიც უკვე დაბეჭდილია კონფერენციის ჩატარების თარიღამდე ბოლო 1 წლის ვადაში.

3.2.2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. თუ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს რამდენიმე თანაავტორი, ერთი და იმავე მოხსენებით ვიზიტის დასაფინანსებლად საკონკურსო განაცხადის შემოტანა შეუძლია მხოლოდ ერთ ავტორს, ამასთან ერთსადაიმავე ღონისძიებაზე მონაწილეობა დაუფინანსდება არაუმეტეს ორ აპლიკანტს. **(01-98, 19.07.2023)**

3.2.3. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:

- ვიზის მიღება და მასთან დაკავშირებული ხარჯები;
- მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ ეკონომკლასის ავიაბილეთის, სახმელეთო ან/და სხვა სატრანსპორტო ხარჯები (არა შიდასაქალაქო გადაადგილება)).
- სარეგისტრაციო გადასახადი;
- სადღეღამისო ხარჯები;
- საცხოვრებლის დაქირავების ხარჯები;

3.2.4. საცხოვრებლის და სადღეღამისო ხარჯები დაფინანსდება სამეცნიერო ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეებს დამატებული გამგზავრების და გამომგზავრების დღეების მიხედვით.

3.2.5. წარმოსადგენი დოკუმენტები:

- თავფურცელი, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად (ფორმა #3);
- ბიუჯეტი, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად. (ფორმა #4);
- მოწვევის წერილი, რომელშიც მითითებულია მოხსენების სათაური;
- თანადაფინანსების წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2.6. ფაკულტეტის გრანტების განმკარგავი კომისიის მხრიდან მიღებული განაცხადის შესწავლა და შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად : **(01-98, 19.07.2023)**

	კრიტერიუმები	**შეფასება**

1	**ორგანიზატორის ავტორიტეტულობა და ღონისძიების მნიშვნელობა**	1-5 ქულა;					
2	**განმცხადებლის როლი ღონისძიებაში**	სასტენდო მოხსენება 4 ქულა	ზეპირი მოხსენება 5 ქულა	პლენარული მოხსენება 7 ქულა			
3	**ბიუჯეტი**	არ შეესაბამება რეალურ ხარჯებს 0 ქულა	შეესაბამება რეალურ ხარჯებს 1 ქულა	შეესაბამება რეალურ ხარჯებს და აქვს 20%-იანი თანადაფინანსება 2 ქულა	შეესაბამება რეალურ ხარჯებს და აქვს 30%-იანი თანადაფინანსება 3 ქულა	შეესაბამება რეალურ ხარჯებს და აქვს 50%-იანი ან მეტი თანადაფინანსება 5 ქულა	
4	**პუბლიკაცია იბეჭდება/დაბეჭდილია გავლენიან ჟურნალში/კრებულში**	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში /კრებულში 3 ქულა	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში /კრებულში, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში 5 ქულა	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში /კრებულში, რომელიც ინდექსირებულია web of science, scopus, ERIH PLUS სამეცნიერო ბაზებში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში 7 ქულა			

დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი მაგრამ არასაკმარისი პირობაა არანაკლებ 12 ქულის მიღება. 12 ან 12-ზე მეტი ქულის მიღების შემთხვევაში, კომისია ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და თემის აქტუალურობიდან გამომდინარე იღებს გადაწვეტილებას სრულად, ნაწილობრივ ან არ დაფინანსების თაობაზე.

3.2.7. პრეზენტაციის მასალაზე (პოსტერი ან სლაიდები) დატანილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ლოგო. ხოლო, სამეცნიერო ნაშრომების კრებულში ავტორის გვართან მითითებული უნდა იყოს, რომ იგი არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

3.2.8 თითოეული აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის წლიურად გამოიყოფა არაუმეტეს 5000 ლარი სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. **(01-98, 19.07.2023)**

3.2.9 იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის ან აპლიკანტთა ჯგუფის სამეცნიერო აქტივობები განსხვავდება ამ წესის მოთხოვნებისგან, ან თუ აპლიკანტი მოითხოვს წლიურად 5000 ლარზე მეტი ხარჯის ანაზღაურებას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში/ღონისძიებებში მონაწილეობის, ან კვლევითი ვიზიტის დაფინანსებისთვის, გრანტების განმკარგავი კომისიის შეფასების გარდა, პროგრამის ხელმძღვანელის (რომელი პროგრამის განმახორციელებელიცაა აპლიკანტი)

წარდგინებით საკითხი განსახილველად გადაეცემა სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების საუნივერსიტეტო კომისიას. **(01-98, 19.07.2023) (01-47, 08.04.2025)**

3.2.10 პროგრამის ხელმძღვანელი წერს მოხსენებით ბარათს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის სახელზე, სადაც სათანადოდ უნდა დაასაბუთოს 3.2.8 პუნქტში აღნიშნული შემთხვევაში საერთაშორისო ვიზიტის დაფინანსების მნიშვნელობა და აუცილებლობა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის. სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების საუნივერსიტეტო კომისიის შემადგენლობაში შედიან: რექტორი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, კანცლერის მრჩეველი აკადემიური პროცესის მიმართულებით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის განმახორციელებელიცაა აპლიკანტი. სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების საუნივერსიტეტო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შედგება ოქმი და გასაცნობად გაეგზავნება აპლიკანტს. **(01-98, 19.07.2023)**

3.3. **სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების დაფინანსების პირობები:**

3.3.1. სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების ხარჯების დასაფინანსებლად ფაკულტეტის კომისიასთან წარდგენილი უნდა იქნას აპლიკანტის განცხადება, სამეცნიერო სტატია, შესაბამისი ჟურნალის თანხმობის წერილი სტატიის ბეჭდვასთან დაკავშირებით და ინვოისი.

3.3.2. საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში/რეიტინგებში ინდექსირებულ, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ხარჯები ფინანსდება 50%-ით.

3.3.3. Web of science core collection, scopus, SCImago Journal Rank, ბაზებში/რეიტინგებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ხარჯები ფინანსდება 100%-ით. **(01-98, 19.07.2023)**

3.3.4. მონოგრაფიის გამოქვეყნების ხარჯების დასაფინანსებლად ფაკულტეტის კომისიასთან წარდგენილი უნდა იქნას აპლიკანტის განცხადება და მონოგრაფიის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია. კომისია განხილვის პროცესში აფასებს მონოგრაფიის სამეცნიერო ღირებულებას და მნიშვნელობას ფაკულტეტისთვის.

3.3.5. სხვა სამეცნიერო აქტივობის დასაფინანსებლად კომისიასთან წარდგენილი უნდა იქნას აპლიკანტის განცხადება შესაბამისი აქტივობის შინაარსის და მიზნობრიობის აღწერით, რომლის განხილვის პროცესში კომისიამ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დადებითი რეკომენდაციით მიმართავს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტს.

მუხლი 4. ანგარიშის წარდგენა

1. სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ 20 კალენდარული დღის ვადაში სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში წარდგენილი უნდა იყოს გაწეული ხარჯების შესახებ არსებული ყველა საბუთი და თვითმფრინავის ჩასხდომის ბარათები, ასევე კონფერენციაში მონაწილეობის სერთიფიკატი[1] და სამეცნიერო ნაშრომების კრებული (იმ შემთხვევაში თუ კრებული ჯერ არ არის გამოცემული, გრანტიორმა უნდა დაწეროს მოხსენებითი ბარათი სადაც მითითებული იქნება კრებულის გამოცემის სავარაუდო პერიოდი). იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსვლიდან 20 დღის ვადაში არ იქნება წარდგენილი გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას უკან გამოითხოვოს ჩარიცხული თანხა.

[1] წინასწარ უნდა მოხდეს გარკვევა, სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში თუ გაიცემა სერთიფიკატი.

2. სამეცნიერო აქტივობის ზეპირი ანგარიშის წარდგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე, რომლის ორგანიზებას ახდენს დეკანატი. ანგარიშის წარდგენას უნდა ესწრებოდნენ საბჭოს წევრები და წარმომადგენლები სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტიდან.

მუხლი 5. ფაკულტეტის გრანტების განმკარგავი კომისია

1. ფაკულტეტის გრანტების განკარგავი კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს როგორც სამეცნიერო, ასევე აკადემიური აქტივობების დაფინანსების შესახებ.
2. ფაკულტეტის გრანტების განმკარგავი კომისია შედგება 7 წევრისგან, რომელსაც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. კომისიის მუდმივი წევრია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო დანარჩენი 5 წევრი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ აფილირებული აკადემიური პერსონალიდან კალენდარული წლის ვადით.
3. ფაკულტეტის გრანტების განმკარგავი კომისია იკრიბება საჭიროების შესაბამისად. კომისიის მოწვევა ხორციელდება დეკანის მიერ წერილობით, ელექტრონული ან სატელეფონო გაფრთხილების წესით, სხდომის გამართვამდე არანაკლებ 2 დღით ადრე.
4. ფაკულტეტის გრანტების განმკარგავი კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არანაკლებ 4 წევრი. გადაწყვეტილება მეცნიერების/ახალგაზრდა მეცნიერების ან სხვა საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსების შესახებ მიიღება დამსწრე პირთა უმრავლესობით, რომელიც დასტურდება მათი ხელმოწერით შესაბამის დოკუმენტზე.
5. განცხადების განხილვის პროცესში კომისია მოქმედებს ფაკულტეტზე სამეცნიერო და არასამეცნიერო აქტივობებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის შესაბამისად.
6. დაფინანსებაზე უარის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელს უფლება აქვს არგუმენტირებული საჩივრით მიმართოს რექტორს. რექტორი უფლებამოსილია შეკრიბოს კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ან/და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის შემადგენლობით და განიხილოს საჩივარი და დასკვნა. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაიმართოს ზეპირი მოსმენაც.
7. კომისიის უფლებამოსილია ბიუჯეტიდან გამომდინარე გასცეს ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ რეკომენდაცია.
8. კომისიის წევრმა, რომლის საგრანტო დაფინანსების/განაცხადის განხილვა ხდება დაფინანსების თაობაზე, მონაწილეობა არ უნდა მიიღოს განხილვის პროცესში.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნულ წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის კანცლერი.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.
3. აღნიშნული წესის დამტკიცებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანცლერის 2018 წლის 10 სექტემბრის #01-103 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო და არასამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი“

ფორმა #1

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობის დაფინანსება

ღონისძიების პროექტი

გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს. გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - 1,15; შრიფტი: Sylfaen; ზომა: 11.

ღონისძიების სახელწოდება ქართულად	
ღონისძიების ტიპი (კონფერენცია, კონგრესი, სიმპოზიუმი, ფორუმი, სამუშაო შეხვედრა)	
ღონისძიების ჩატარების ადგილი (ქვეყანა და ქალაქი) და მისამართი	
ღონისძიებისთვის მოსამზადებელი პერიოდი - დაწყების და დასრულების თარიღი	
ღონისძიების დაწყების და დასრულების თარიღი	
უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება (ლარი)	
ღონისძიების მთლიანი ბიუჯეტი (ლარი)	
ღონისძიების ორგანიზატორი (ხელმძღვანელი)	
აკადემიური ხარისხი	
სამუშაო ადგილი და თანამდებობა	
თანამონაწილე ორგანიზაცია (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში)	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300 სიტყვა.)

1. ღონისძიების კონცეფცია - მიზნები და ამოცანები

2. საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი

3. საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტი, მათი როლი პროექტში

4. ღონისძიებაში მონაწილე ძირითადი და პლენარული მომხსენებლები/ლექტორები, ღონისძიების პროგრამა

(აღწერეთ ღონისძიების სექციები, თემები, პლენარული სესიები და მიუთითეთ მომხსენებლები/ლექტორები, მოხსენების/ლექციის თემის ან სათაურის დასახელებით.

5. ღონისძიების მოსალოდნელი შედეგები და გავრცელების მექანიზმები

ფორმა #2

ღონისძიების დასახელება	
ხელმძღვანელი	
ღონისძიების ორგანიზების პერიოდი	
ღონისძიების ჩატარების პერიოდი	

#	ხარჯის დასახელება	მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი	ხარჯების დასაბუთება
				0	
				0	
				0	
				0	
				0	
				0	
	ჯამი	0	0	0	

ფორმა #3

თავფურცელი

მოხსენების დასახელება ქართულად:

მოხსენების დასახელება ინგლისურად:

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

1. გვარი, სახელი:	
2. პირადი ნომერი:	
3. დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	
4. სტატუსი	
5. ფაკულტეტი:	
6. საგანმანათლებლო პროგრამა:	
7. პროექტის სამეცნიერო მიმართულება:	
8. ძირითადი სამუშაო ადგილი:	
9. თანამდებობა:	
10. საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტა; მობილური; ტელეფონი; საცხოვრებელი მისამართი):	

ინფორმაცია საერთაშორისო ღონისძიების შესახებ

11. ქვეყანა, სადაც ტარდება ღონისძიება:		
12. ქალაქი, სადაც ტარდება ღონისძიება:		
13. ღონისძიების დასახელება/თემა ქართულად:		
14. ღონისძიების დასახელება/თემა ინგლისურად:		
15. ღონისძიების ორგანიზატორი (დასახელება ქართულად):		
16. ღონისძიების ორგანიზატორი (დასახელება ინგლისურად):		
17. ღონისძიების მისამართი ინტერნეტში (ვებ-გვედრი):		
18. ღონისძიების ჩატარების თარიღები (დაწყება და დასრულება):		
19. ორგანიზატორი ორგანიზაციის მისამართი:		
20. ორგანიზატორი პირის ტელეფონი, ელ-ფოსტა:		
21. მოხსენების ტიპი: 22. პოსტერით პრეზენტაცია/ poster presentation 23. სექციის მოხსენება / panel presentation		
24. მოხსენების სათაური:		
25. გთხოვთ მიუთითოთ, იბეჭდება თუ არა სრული სტატია საკონფერენციო მასალებში/რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალში; *		
26. პუბლიკაცია იბეჭდება/დაბეჭდილია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში/კრებულში (გთხოვთ, მონიშნოთ ერთ-ერთი)	☐	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში /კრებულში
	☐	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში /კრებულში, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში
	☐	რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში /კრებულში, რომელიც ინდექსირებულია web of science, scopus, ERIH PLUS საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში

მოხსენების აბსტრაქტი (არაუმეტეს 400 სიტყვა)

ინგლისურად

მოხსენების ტიპი:

- პოსტერით პრეზენტაცია/ poster presentation
- სექციის მოხსენება / panel presentation

მოხსენების სათაური:

ფორმა #4

ბიუჯეტი

	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა		თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	შენიშვნა	
	ხარჯვის კატეგორია	**თანხა ლარში**	**თანხა ლარში**		
1	მგზავრობის ხარჯები				
2	ღონისძიებაზე სარეგისტრაციო გადასახადი				
3	ვიზასთან დაკავშირებული ხარჯები				
4	სამოგზაურო დაზღვევა				
	ჯამი	**0**	**0**		

					თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	**შენიშვნა**
	ხარჯვის კატეგორია	**დღეების რაოდენობა**	**დღიური თანხა 1 კაცზე**	**თანხა ლარში**		

5	სადღეღამისო ხარჯები			0		
6	საცხოვრებელი ფართის დაქირავების/ სასტუმროს ხარჯი			0		
	ჯამი			**0**	**0**	

	თანხა ლარში
სულ უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა	0
სულ თანადაფინანსება	0
თარიღი	
აპლიკანტის ხელმოწერა	

შეთანხმება სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტსა და დაფინანსებულ მეცნიერს შორის

სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების შემთხვევაში დაფინანსებული მხარე ვალდებულია:

1. სრულად შეასრულოს სამეცნიერო და არასამეცნიერო აქტივობების წესით (შემდგომში წესი) განსაზღვრული პირობები.

2. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსების შემთხვევაში:

- გააკეთოს პლენარული მოხსენება, სექციის მოხსენება ან პოსტერით პრეზენტაცია.
- იმ შემთხვევაში თუ მოხსენების თემა არ არის გამოქვეყნებული, აუცილებელია ნაშრომი სტატიის სახით დაიბეჭდოს სრულად (არა მხოლოდ აბსტრაქტი) კონფერენციის

დასრულებიდან 18 თვის ვადაში, კონფერენციის მასალებში ან სხვა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს ჩარიცხული თანხა.

- აუცილებელია, თავფურცელის (ფორმა N3) მითითებულ 26-ე პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია სტატიის გამოქვეყნების შესახებ სრულად იყოს დაცული. თუ მითითებულია უფრო მაღალი კატეგორიის ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ ინფორმაცია, ხოლო საბოლოოდ სტატია გამოქვეყნდება სხვა, დაბალი კატეგორიის ჟურნალში/კრებულში უნივერსიტეტი უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს ჩარიცხული თანხა.
- სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ 20 კალენდარული დღის ვადაში სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში წარდგენილი უნდა იყოს გაწეული ხარჯების შესახებ არსებული **ყველა საბუთი[2] და თვითმფრინავის ჩასხდომის ბარათები (ფიზიკურად)**. ასევე **კონფერენციაში მონაწილეობის სერთიფიკატი**[3] და სამეცნიერო ნაშრომების კრებული. იმ შემთხვევაში თუ კრებული ჯერ არ არის გამოცემული, გრანტიორმა უნდა დაწეროს ***მოხსენებითი ბარათი*** სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის სახელზე, სადაც მითითებული იქნება კრებულის გამოცემის სავარაუდო პერიოდი, ხოლო სტატიის ჟურნალში გამოქვეყნების შემთხვევაში, უნდა მიეთითოს ჟურნალის დასახელება და სტატიის დაბეჭდვის სავარაუდო თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსვლიდან 20 დღის ვადაში არ იქნება წარდგენილი გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები და ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას უკან გამოითხოვოს ჩარიცხული თანხა.
- პრეზენტაციის მასალაზე დატანილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ლოგო. ხოლო, სამეცნიერო ნაშრომების კრებულში ან ჟურნალში ავტორის გვართან მითითებული უნდა იყოს, რომ იგი არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელი და ნაშრომი დაიბეჭდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელშეწყობით.
- სასურველია პრეზენტაცია დასურათდეს, შემდგომში უნივერსიტეტის ვებ-საიტზე და სამეცნიერო პორტალზე განთავსებისთვის.

დანართი 1: თავფურცელი;
დანართი 2: ბიუჯეტი.
დანართი 3: ინფორმაცია ღონისძიების შესახებ.

ვადასტურებ დანართებში მითითებული ინფორმაციის სისწორეს, სრულად დავიცავ წესში მითითებულ პირობებსა და ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პუნქტებს.

დაფინანსებული მეცნიერის სახელი, გვარი _____

ხელმოწერა: _____

[2] მათ შორის ის ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებული იყო თანადაფინანსებით, ვინაიდან თანადაფინანსების საკითხი შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია.

[3] მეცნიერის მიერ წინასწარ უნდა მოხდეს გარკვევა, სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში გაიცემა თუ არა სერთიფიკატი.

თარიღი: _____